ა(ა)იპ - ქ.ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო

წერილის ნომერი: **17-1421292555**
თარიღი: **19/10/2021**
პინი: **6061**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

**ადრესატი:** ნაზიბროლა რეხვიაშვილი
**პირადი ნომერი:** 62011003485
**მისამართი:** გუდაუთა ს. ლიხნი

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

გაწვდით თქვენ მიერ 2021 წლის 7 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას:

1. 2016 წლიდან მიმდინარე პერიოდის ჩათვლით, რამდენ ბენეფიციარს ემსახურება მუნიციპალური უფასო სასადილო;

იხილეთ დანართი №1.

2. რა ჯდება ერთი ბენეფიციარის კვება ყოველდღიურად - თვეებისა და წლების მიხედვით;

იხილეთ დანართი №2.

3. რამდენი ადამიანი ითვლება მომლოდინედ - წლებისა და თვეების მიხედვით;

მომლოდინეთა სიებში ირიცხებოდნენ: 2016 წელს- 655; 2017 წელს-950; 2018 წელს-1326; 2019 წელს - 1472.; 2020 წელს – 1938; 2021 წელს -228 (მიმდინარე წლის აგვისტოს მდგომარეობით მომლოდინეთა სია 0-ს გაუტოლდა, 228 განაცხადი შემოვიდა აგვისტოს შემდეგ, რაც გამოწვეულია კოვიდსიტუაციის გამო სასადილოების ფუნქციონირების შეჩერებით და ბენეფიციარებისათვის ყოველთვიურად სასურსათო კალათების დარიგების რეჟიმზე გადასვლით).

4. ერთჯერადი უფასო კვების პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს ბენეფიციარს, რომელიც არის ქალაქ ბათუმში რეგისტრირებული, აქვს სოციალურად დაუცველის სტატუსი და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 65000-ის ჩათვლით.

   ბენეფიციარად დარეგისტრირებისათვის სააგენტოში მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს განცხადება, სოციალური მომსახურების სააგენტოს ცნობა სარეიტინგო ქულების შესახებ და პირადობის ქსეროასლი.

5. ბენეფიციარის სიიდან ამოღება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

   ა) სარეიტინგო ქულის გაზრდა (65000-ზე მეტი);

   ბ) საკუთარი განცხადება;

   გ) თუ ბენეფიციარი არ გამოცხადდა სასადილოში 1 თვის განმავლობაში და მიზეზებთან დაკავშირებით არ მიაწოდა სააგენტოს ინფორმაცია;

დ) გარდაცვალება.

პატვისცემით,

მამუკა შამილიშვილი

ა(ა)იპ ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი